

სასწავლო მოდული საუბრო საარჩევნო კომისიის წევრებისათვის

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ამომრჩევლებთან საუბრის ეტიკეტისა და ეცევის ნორმების დაცვის შესახებ

ყველა ტიპის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ამომრჩეველთან გასათვალისწინებელი რჩევები

- დაეხმარეთ, მაგრამ არასდროს გამოხატოთ სინანული;
- მიმართეთ პირდაპირ ამომრჩეველს და არა მის თანმხლებ პირს;
- მზად იყავით ხმის მიცემის პროცედურის დაწვრილებით ასახსნელად;
- ხმის მიცემის პროცესში ამომრჩევლის დამოუკიდებლობის პრინციპის უზრუნველყოფის მიზნით, საკუთარი ინიციატივით ნუ განსაზღვრავთ ამომრჩევლისთვის დახმარების აღმოჩენის აუცილებლობას და იმოქმედეთ ამომრჩევლის თხოვნის შესაბამისად;
- არაფერი მიუთითოთ საარჩევნო ბიულეტენზე, იმ შემთხვევაშიც, თუ ამომრჩეველი არჩევნის მითითებაში დახმარებას გთხოვთ;
- აუცილებლად ჰკითხეთ, ვისი დახმარება ურჩევნია. ამასთან, გახსოვდეთ, რომ თუ ამომრჩეველს არ შეუძლია საარჩევნო ბიულეტენის დამოუკიდებლად შევსება, მას უფლება აქვს კენჭისყრის კაბინაში დასახმარებლად მიიწვიოს ნებისმიერი პირი, გარდა:
 - ☑ საარჩევნო კომისიის წევრისა;
 - ☑ კანდიდატისა;
 - ☑ საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლისა;
 - ☑ დამკვირვებლისა;
 - ☑ პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალების წარმომადგენლისა.

უსინათლო და მცირემხედველ ამომრჩევლებთან გასათვალისწინებელი რჩევები

- თუ უსინათლო ამომრჩეველი საარჩევნო უბანში გადაადგილებისას დახმარებას საჭიროებს, დაუდევით გვერდით და გაუწოდეთ ხელი, ისე რომ ოდნავ შეეხოთ მის მაჯას;
- ისაუბრეთ მკაფიოდ და ნელა;
- ამომრჩეველთა რეგისტრატორმა უსინათლო ამომრჩეველს საარჩევნო ბიულეტენები უნდა გადასცეს სპეციალურ ჩარჩოში ჩადებულ მდგომარეობაში (ფორმაში არსებული ყოველი წრიული ჭრილი უნდა ემთხვეოდეს ბიულეტენში არსებული საარჩევნო სუბიექტების რიგით ნომრებს);
- უსინათლო ამომრჩევლის ინფორმირების მიზნით, საარჩევნო ბიულეტენში არსებული საარჩევნო სუბიექტების რიგითობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება შეუძლია მხოლოდ სხვა ამომრჩეველს;
- თუ ამომრჩეველი მცირემხედველია შესთავაზეთ გამაღიანებელი ლინზა.



USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE



Global Expertise. Local Solutions.
Sustainable Democracy.



ცესკო
საპარლამენტო საარჩევნო
აპრიორა



საარჩევნო სისტემების
ბანკითარების, რეფორმებისა და
სწავლების ცენტრი

ფიზიკური შეზღუდულობის მქონე ამომრჩეველთან გასათვალისწინებელი რჩევები

ამომრჩეველი, რომელიც ზედა კიდურების არქონის გამო ვერ ახერხებს ხმის მიცემის პროცედურების დამოუკიდებლად შესრულებას, კენჭისყრაში მონაწილეობს შემდეგი პროცედურების გათვალისწინებით:

- არ გადის მარკირების შემოწმებისა და მარკირების პროცედურას;
- მასზე საარჩევნო ბიულეტენების გაცემისას, ამომრჩეველთა რეგისტრატორი ამომრჩეველთა ერთიანი სიის გრაფაში „ამომრჩევლის ხელმოწერა“ აკეთებს ჩანაწერს „ფიზიკური მდგომარეობა“ და აღნიშნულს ადასტურებს პირადი ხელმოწერით;
- აღნიშნული ამომრჩევლის ნაცვლად, მისი თანდასწრებით, საარჩევნო ბიულეტენებს სპეციალურ კონვერტში ათავსებს და შემდეგ საარჩევნო ყუთში აგდებს მის მიერ არჩეული პირი, გარდა:
 - ☑ საარჩევნო კომისიის წევრისა;
 - ☑ კანდიდატისა;
 - ☑ საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლისა;
 - ☑ დამკვირვებლისა;
 - ☑ პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალების წარმომადგენლისა.

ამომრჩეველთან, რომელიც ეტლით მოსარგებლეა, გაითვალისწინეთ შემდეგი:

- ნუ დაეყრდნობით ამომრჩევლის ეტლს;
- თუ ეტლში მჯდომ ამომრჩეველთან საუბარი ერთ ნუთზე მეტხანს გასტანს, დაბრძანდით მის წინ და ესაუბრეთ პირისპირ;
- გაათავისუფლეთ საარჩევნო კაბინამდე მისასვლელი გზა.

ყრუ და სმენადაქვეითებულ ამომრჩეველთან გასათვალისწინებელი რჩევები

- თუ ამომრჩეველი მიგითითებთ, რომ მას არ ესმის ან არ შეუძლია საუბარი, ეკონტაქტურად წერილობითი ფორმით;
- თუ ამომრჩეველს თან ახლავს ჟესტების ენაზე მოსაუბრე პიროვნება, ესაუბრეთ მისი მეშვეობით;
- თუ საარჩევნო უბანზე მოსულ ამომრჩეველს საუბარი არ შეუძლია (ყრუ ან/და სმენადაქვეითებული) და არ იცის კენჭისყრის პროცედურა, აჩვენეთ საარჩევნო უბანზე გამოკრული ხმის მიცემის პროცედურების ამსახველი პოსტერი.

ტერმინები რომელიც არ უნდა გამოვიყენოთ!!!

ყურადღება!!!

ტერმინი ინვალიდი – ინგლისური ენიდან არის ნაწარმოები და შედგება სიტყვებისგან in და valid. აღნიშნული სიტყვების შეერთების შემთხვევაში სიტყვა არავალიდურს ვლენულობთ. შედეგად ვიღებთ დისკრიმინაციულ და შეურაცხმყოფელ ტერმინს.

ტერმინი უნარშეზღუდული – უნარები და შესაძლებლობები როგორც სხვადასხვა მნიშვნელობის მქონე სიტყვები, არ შეიძლება ერთმანეთის სინონიმებად მოიხსენიებოდეს, შესაბამისად ეს ტერმინი დაშვებას არ ექვემდებარება. ეს ადამიანები არ არიან უნარშეზღუდულები; მათ აქვთ უნარები, მაგრამ არ აქვთ შესაძლებლობა, გამოიყენონ ეს უნარები.

სწორია

შეზღუდული შესაძლებლობის
მქონე პირი ან/და განსაკუთრებული
საჭიროებების მქონე პირი

არასწორია

ინვალიდი
უნარშეზღუდული